# თეატრი და ცხოვრება

გაუმარჯოს თავისუფალ ხელოვნებას თავისუფალ საქართველოში!

გაუმარჯოს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას!

,,თეატრი და ცხოვრება''

წლიურად 25 მან., ნახევარ წლით 15 მან. თითო ნომ-რი--5 მან. ხელის მოწერა მიიღება: თბილისში, ბაზრის ქ. № 20, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. თბილისი, რედ. ,,თეატრი და ცხოვრება'' იოსებ იმედაშვილი. ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 86

1919 წ. № 8 კვირა მკათათვის 13 — ფასი 5 მან. — წელიწადი მეშვიდე გამოცემისა




ლუარსაბ გერას. ბოცვაძე
(1865—1919)



სანდრო მაისურაძე თავის გვარდიელებით სოჭის ფრონტზე
(სანდრო მაისურაძის ბრძოლაში გმირულად დაღუპვიდან ექვსი თვის შესრულების გამო)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხელოვნება

უდიდესი ჩირაღდანი კაცობრიობისა, უძლიერესი კოცონი ადამიანთა ცოდვებისა—ხელოვნებაა; ეს ის ღვთიური ცეცხლია, რომელიც ადამიანთა მოდგმას გულს უპეტაკებს, სულს უმაღლებს, გრძნობას ზეციარს მიუახლოვებს.

ჩაქრება ხელოვნების ცეცხლი, მიიკეტება ხელოვნების ღმერთის ტაძრები — ადამიანიც გაველურდება, განადირდება..

ხელოვნებას თვისი მრავალ სახით უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს ჩვენი თანა პატარა, დაქსაქსულ, სიბნელეში ჩაფლულ ერისთვის..

თავისუფლება- მოსპობილნი ხელოვნებამ დაგვიფარა, კუთხური ქიშპობით შეპყრობილნი ხელოვნებამ შეგვაყენა გაერთიანების გზაზე, ველურ მდგომარეობიდან ხელოვნებამ გამოგვიწოდა ადამიანობისკენ..

დიდი და განუზომელია ღვაწლი ქართველ ხელოვანთა წარსულში.

ჩვენის ქვეყნის დაწინაურების ასეთ დარგთა და მის მუშაკთ დღეს უფრო დიდი პატივი უნდა ჰქონდეს განა! მაგრამ ნამდვილად ასე არ არის.

დღესაც პატივაყრილია ჩვენი თეატრი, მწერლობა, მხატვრობა, ცეკვა, მუსიკა და ყოველი ის, რაც ხელოვნების დარგს ეკუთვნის.. პატივაყრილია ყველა ის მუშაკი ძველი ქურუმივით რო უმაღლესი რწმენით ემსახურება ხელოვნების წმიდა ტაძარს, ეწევა მძიმე ჭაპანს..

და თუ მაინც ნირ' არ იცვლის თითოეული ხელოვანთაგანი ეს უბრალო ფაქიზუხია, გარედ რომ მტერს უბრმავებს თვალს, შიგნით მოყვარეს ..

განსაკუთრებით მიტოვებულია სახალხო თეატრის მუშაკი—სცენის მოყვარე, სასოფლო სცენა, ხალხური მუსიკა, მშობლიური მწერლობის ჩუმი მუშაკი..

მართალია ყოველივე ეს კერძო თაოსნობით, სოფლისა და ქალაქის მოწინავე პირთა უნარით უნდა აყვავდეს, მაგრამ ჩვენმა პოლიტიკურმა ცვლილებამ ყოველი ცოცხალი ძალა სხვა და სხვა საქმეში ჩააბა და ხელოვნება კი მივიწყებულ იქმნა.

ამიტომ თვით ჩვენმა მთავრობამ უაღრესი ყურადღება უნდა მიაქციოს დაბასო ლად ჩვენის სასცენო ხელოვნების აყვავებას,—ხელოვნების ტაძრების აგებასა და მათის მუშაკების უზრუნველ-ყოფას... ასევე დიდი მზრუნველობით უნდა მოექცეს ხელოვნება-მწერლობის ყოველ მუშაკს..

მაშინ, როცა ხელოვნება ფართედ გაშლის ფრთებს, ვითარცა ამომავალი მზის ბრწყინვალე სხივებით განიფანტვის სიბნელე ღამისა, ისევე განიფანტება უვიცობა და წყვდიადი ჩვენის ხალხისა, რაცა ქვეყანას აამაღლებს და ცხოვრებას წინ წასწევს..

გზა ფართო—ხელოვნების ტაძრებს და მათ უანგარო ქურუმთ!..

იოსებ იმედაშვილი

## ცრემლები იის ფოთოლზე..

დაღონდა ჩემი გული, როდესაც შევხედე მაგიდაზე მდგარ საყვავილე ვაზას.. ცისფერი იის ღეროები გადმოღუნულიყვნენ და საცოდავად დამტიროდნენ...

სავალალო იყო მათთვის განშორება მეგობრის, ისე, როგორც საძნელო იყო დარჩენა მათთან ჩემი.

გაყვითლებული ფოთლები ვეღარ დააკმაყოფილებს ჩემს მგზნებარე გულს.

განთიადისას ვესტუმრები ნაცნობ ბაღს, დავკრეფ ახლად აყვავებულს იებს და ჩავასვენებ ჩემს საყვარელ ვაზაში.,. —

დამჭკნარ იის ბედი მეც მეწვია ..

ღმერთო! რა აუტანელი, რა საშინელება იყო ყოველივე ეს!..

გავეხვიე ჩემს საყვარელ ქარმან შალში და ავქვითინდი.

წუთი საუკუნედ გარდაიქცა და მე კი ამ უბედურ მდგომარეობაში ვგრძნობდი თავს..

მხოლოდ ახლა ვიგრძენი მწუხარება დამჭკნარ იისა... ვიდექი და დავსტიროდი ახლა მე. ჩემი ცრემლები ცვიოდნენ იის ფოთლებზე, რომელნიც მძივის მსგავსად დაგორავდნენ მასზე...

ბედნიერი ხარ მაინც,.. შენი მწუხარება წუთიერი იყო... ჩემი კი უკვდავების მსგავსი, თითქოს სამარადისო, სიყვარული ტკივილად გარდაიქცა...

ობლობას ვგრძნობ... გაფრინდა ჩემი მეგობარი, გაინავარდა.. მიმატოვა შეუბრალებლად მარტოდმარტო...

ვზივარ და დავსტირი... ვსტირი ჩემს ბედს, რომელმაც სიხარულის ნაცვლად ვაება მარგუნა...

მწარედ ამიქვითინა გული მეგობრის დაკარგვამ, მაგრამ მომესმა მკვნესარე თარის ხმა, და გულმა რაღაც სიამე იგრძნო...

ნუ თუ დავსტოვებ იის ფოთლებზე ცრემლებს?

არა და არა... მე მოვნახავ ბნელ კუთხეს, გავეხვევი წითელ ქარმან შალში და აღარ დავინახავ აღარავის, აღარასოდეს.

ასე განვუტევებ სულს... დამატირებენ მხოლოდ და მხოლოდ ტირიფის რტოები..

ზაირა (თამარ დათიაშვილი)

# უცხო მწერლები



კატიულ მენდესი
(1841-1910)

საფრანგეთის გამოჩენილი მწერალი კ. მენდესი დაიბადა 1841 წელს. მან შექმნა საფრანგეთის ლიტერატურაში მთელი ეპოქა. მისი უშწიკვლო ენის სისუფთავე, რითმის სიმდიდრე და აზრთა სიღრმავე იპყრობს მკითხველის სულსა და გულს. უნებლიედ იყვარებ როგორც მას, ისე მის ლამაზ ზღაპრებს და ლექსებს, რომელშიაც გამოსჭვივის მწერლის მაღალი გრძნობა და დაუსრულებელი სიყვარული მშვენიერებისა. დაბადებით იგი იყო ბორდოელი, შთამომავლობით ისრაელი, მაგრამ ამან არ დაუშალა გამხდარიყო საერთო საყვარელ მწერლად.

ფრანგულ ჟურნალ „რევუ ფანტეზი"—ეში, იმ დროს დიდ ნიჭთა შორის, როგორიც იყვნენ ბანვილი, ბოდლერი და ლეკონტ დე ლილი, გამოაშუქეს კ. მენდესის აღზრდილმა ფრანსუა კოპემ, სიული პრიუდომმა და სხვ.

კ. მენდესი ერთ თავისუფალ პიესის დაწერისათვის, რომელსაც დაარქვა „ლე რომან დ' უნ ნუი" (ღამის რომანი), დაჯარიმებულ იქმნა 500 ფრანკით და 2 თვით დაპატიმრებული. იგი 35 წლის განმავლობაში დაუღალავად ემსახურებოდა სამშობლო ლიტერატურას და დიდი განძიც შესძინა მას... თუმცა უკიდურესი სიღარიბე და გაჭირვება თან სდევდა გამოჩენილ მწერალს...

მის გალობის საგანი იყო ქალის ღვთაებრივება, სიმშვენიერე და ამას მოუტანა მსხვერპლად მთელი თავისი პოეტური აღმაფრენა. ის იყო სიყვარულის მგოსანი და სიყვარულის ღმერთსაც შესწირა ხარკად თვისი გული და გრძნობანი. პატარა პოემებში და ზღაპრებში იგი ახლილად უმღერდა ქინიანოზას, დიდ ნაწარმოებებში იგი წმინდა, ამაღლებულ სიყვარულის მგალობელი იყო. და მის რომანებში და ტრაგედიებში ბევრია კლასიკურ სილამაზის ადგილები.

1900 წელს მინისტრ გ. ლეიგმა საფრანგეთის პოეზიის ნამდვილმა მოყვარულმა მას მიანდო დაეწერა: „საფრანგეთის პოეზიის განვითარება 1867 წლიდან—1900 წლამდე", რასაც მან დიდის გულით და სიამაყით მოჰკიდა ხელი. რადგან გრძნობდა დაემსახურებინა ამის თაოსნობა თვის 35 წ. მოღვაწეობით.

25 იანვ. 1910 წ. საფრანგეთმა დაჰკარგა კატ. მენდესი. დაჰკარგა ეს დიდებული ქურუმი პოეზიისა, დედა ბოძი ლიტერატურისა. იგი უცაბედად ჩამოვარდა ტრამვაიდან და გასრესილ იქმნა.

მენდესი მოკვდა და მასთან ერთად მოკვდა მთელი ლიტერატურული ეპოქა..

საუბედუროდ ჩვენში ძალიან ნაკლებად იცნობენ ამ გვარ დიდ ადამიანებს!..

ა. მაჭავარიანი

## ქარმი ნიღაბი

კატიულ მენდესი [ფრანგულიდან].

როგორი ნიღაბი სჯობია გავიკეთო, რომ ვერ მიცნონ იმ ბალში, სადაც ათას გვარ სისულელეს ექმნება ადგილი?—მკითხა ჩემმა ცუგრუმელამ ეშხიანი თვალებით და მუხთალი ბაგეებით—მირჩიეთ, დრო მიდის. ჩავიცვა შავი, უარშიო ატლასის დომინო, თუ ვარდის ფერი—არშიებით?..

რა იქმნებოდა რომ გამეკეთებინა ერთი ერთი იაპონურ ნიღობთაგანი, ულვაშებით, როგორც გოშის აქვს ან და დამეკრა საძაგელი ცხვირი?

იმაზე სასაცილო რა უნდა იყოს, რომ თავი დავიმახინჯო იმ დროს, როცა ნამდვილად ასეთი კარგი ვარ!.

ოღონდ კი არ მიცნონ იმ ბალში, სადაც ათასგვარ სისულელეს ექმნება ადგილი—მითხრა ჩემმა ცუგრუმელამ ეშხიანის თვალებით და მუხთალი ბაგეებით.

—არა,—უპასუხე:—არ გინდა არც შავი, არც ვარდის ფერი დომინო, არც იაპონური ნიღაბი, არც დაკრული, სასაცილო ცხვირი. დაე, მხოლოდ შენს ბაგეებზედ გამოჩნდეს ღიმილი, რომლის დანაპირებიც გამართლდება, დაე შემოხედვა შენი თვალებისა ნათელი იყოს და ლაწვებზე ფერი ჰმოწმობდეს შენს ნამდვილ მორცხვობას. და ეს კმარა, რომ ვერ გიცნონ იმ ბალში, სადაც ათასგვარ სისულელეს ექმნება ადგილი...

ა. მაჭავარიანი

# მუშა მამულიშვილი



მიხეილ დავითის ძე კიკნაძე,
(1882-1909)
(გარდ. 10 წლის თავის გამო).
გარდ. 1909 წ. გიორგობის 9, სასტამბო საქმის დიდი მცოდნე საუკეთესო სტამბაც ჰქონდა თბილისში.

აი მუშა-მამულიშვილი, რომელმაც სამარადისო ძეგლი აიგო თავისუფალ სამშობლოს გულში.

არჩილ ჯორჯაძემ და გიორგი დეკანოზიშვილმა რომ პარიზში არალეგალური ქართულ-ფრანგული ჟურნლის ,,საქართველოს" გამოცემა განიზრახეს, მათ მარჯვენა ხელად ყრუ მიხეილ კიკნაძე აღმოაჩნდათ.

ეს მიხეილ კახელი იყო, ასოთაწყობა შეისწავლა ქართვ. ამხ. სტამბაში, შემდეგ ვ. გუნიას ცნ. ფურ.'' უშაობდა და საუკეთესო ოსტატათაც ითვლებოდა. ამავე დროს იგი იყო შეგნებული მუშა-მამულიშვილი. თუმცა მისი თანამედროვე მუშები სამშობლოს და საქართველოს ალმაცერად უყურებდნენ. მიხეილი პარიზში დიდ გაჭირვებაში იყო, მთელი კვირეებით მშიერი, ამავე დროს გარს ეხვივნენ პროვოკატორ-აგენტები: იპატიჟებდნენ, ათას გვარ მაცდურობით იზიდავდნენ, რომ როგორმე გაეგოთ ჟურნალის გამოცემის ასავალდასავალი მაგრამ მიხეილ ქვად იყო ქცეული: ყრუ ვარ, არაფერი ვიციო,—აი მისი პასუხი, და ასეთის პასუხით დიდის სიმტკიცით იცავდა მინდობილ საქმის საიდუმლოებას. მართალია, გაჭირვებულმა ცხოვრებამ იგი დაასნეულა და წუთი სოფელს ადრე გამოასალმა, მაგრამ სახელი დარჩა. მისმა მამულიშვილ. მუშაობამ საქართველოს თავისუფლების იდეას ძლიერ შეუწყო ხელი და მადლიერი სამშობლო მუდამ კურთხევით მოიხსენიებს ამ ჩუმი მუშაკის პატიოსან სახელს.

# სადღეისო

(26 მაისს ფოთში წარმოთქმული).

მაღლა ცაში მზე თამაშობს, გვიღიმის და თანაგვიგრძნობს... დღეს აღდგომაა ჩვენი ერის, ქართველ ერის, გვემულ-ტანჯულის; ჩემი ჭაღარა აყვავილდა, გადავხალისდი; ვით მარტის ხბო სიცივეში გამომწყვდეული სითბოს რომ ნახავს მწვანე ველზე შეკუნტრუშდება, ისე დავიწყო მეც კუნტრუში, ხტომა-ნავარდი. მწადს რომ ვიმღერო, ვიგალობო, ბულბულად ვიქცე, მაგრამ ვაგლახ! მე მაგონდება შარშან ამა დროს ვირი რომ ვიყავ!.. დიახ ვირი!..

ნუ გაიკვირვებთ, ნურც ითაკილებთ. ვირი ვიყავი სხვისი მონა, სხვისი ერთგული, ზურგზე მეკიდა მე კურტანი... ბატონს ხელთ ეპყრა დიდი ჯოხი. დიდი არგანი. მცემდა მის მონას, მისთვის მუშას, მის ტვირთის მზიდველს.

ღმერთმა უშველოს ჩვენი ქვეყნის გმირ-ტარიელებს: დაეცნენ ციხეს ქაჯეთისას, მილეწ-მოლეწეს; „მისცეს გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლეს მონები“. მეც მომხსნეს ზურგზე კურტანი, ვერ მჩაგრავს ხელთ არგნოსანი მხიარული ვარ და მზათ ვარ თეთრი ლექსით, რომ ვიყროყინო, „ცას შტვირი მივცე“, მალე ქვეყანას გავაგებინო: ვირი ვიყავი, სხვისი მონა, მუნჯი, უსიტყვო, მოქალაქე ვარ ოქროპირი, თავისუფალი, არ ვიყავ ღირსი, ღირსეულად მიცნეს, გამხადეს. ფიცს ვდებ არ დავთმო, შევიფერო ესევითარი და აღარ გავხდე სხვათა მონა და სხვათა ვირი. და ვინც გაბედავს კვლავ შემადგას ზურგზე კურტანი კვანტებს შევისვრი, უბრძოლველად არ დავნებდე, თუ დავეცემი ბრძოლის ველზე მკვდარი, უსულო, ის მანუგეშებს, რომ საფლავში ჩავალ უკურტნო.

გემო გაუცფქვენ სანეტარო თავისუფლებას, ამიერიდან ვერ ვიგუებ სხვათა მონებას.

ერთ პატარავ, მაგრამ კოხტავ, გმირთა აკვანო, თავისუფალო მოქალაქევ, ბორკილ-აყრილო! ნუ შეგაშინებს ყვავ-ყორნები, ნურც გველთ სისინი, დიდია ერის გადაწყვეტა და მისი ნება; ჩვენს ძველებს უთქვამს და ანდაზათ გამოგვადგება: წყალნი წავლენ და წამოვლენ ქვიშანი იქვე დარჩება. წამსვლელთ ნუ ვსტირით, ნუ ვიქნებით ხეპრე და შტერი, მას მივაძახოთ რაჭველთ წყევა და მათი კრულვა: წინ წყალი უკან მეწყერი, წასვლა იანი მოსვლა გვიანი... ჩვენს თავს ვეყუდნეთ, ჩვენი თავის გვქონდეს იმედი, ბრძოლის ქურაზე, მშრომელ მარჯვენით თვით გამოვჭედოთ ჩვენ ჩვენი ბედი.

ვაშა, ვაშა, ბედის მჭედელს ჩვენს პატარა საქართველოს!

ვაშა გმირებს, მებრძოლ გმირებს, სამშობლოს მცველს სასახელოს!

აპ. წულაძე

* * *

მარტო ვარ ველზე,—ვიბრძვი კვლავ,
მოსეულ ურდოთ თავს ვაკლავ,

*

ვიხმობ ჩემს ორბებს,
ელვარ—ფრთას, ცეცხლ—ძმებს:
სად ხართ, სად?!
გზა—ეკალ—ძნელზე,
უდაბნო ველზე:
რად დამრჩით, რად?!

*

მარტო ვარ ველზე,—ვიბრძვი კვლავ,
მოსეულ ურდოთ თავს ვაკლავ.

ს. ერთაწმინდელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჭეშმარიტი მოღვაწე მასწავლებელი

ქართველი—ბევრი მჭირია, ერთი —გმირია.

ამ აზრის ჭეშმარიტებას სისწორით ადასტურებდა ლუარსაბ ბოცვაძე...

ის, რაც მთელ ჯგუფს, კოლეგიას ვერ გაუკეთებია, ლუარსაბი აკეთებდა,—საკუთარის შრომითა და ქონებით სცემდა სამეცნიერო-პედაგოგიურ ჟურნალს ,,განათლებას'' და ეს ჟურნალი უფრო წესიერად გამოდიოდა მის ხელში, ვიდრე კოლეგიის ხელში.

ის, რასაც სხვა ყოყლოჩინა აღმზრდელ-მასწავლებელნი ვერა ბედავდნენ, ლუარსაბი ძველის წესწყობილების დროს, როდესაც ჩვენი სკოლა სულსა ლაფავდა, იაკობ გოგებაშვილუსებურად გამოვიდა და ბრძოლა დაიწყო ჩვენის სკოლის უფლების მოსაპოებლად გამარუსებელ სწავლა-აღრზდის წინააღმდეგ.

ბნელში ნათელის მფანტველიო, რომ იტყვიან სწორედ ლუარსაბი იყო...

სკოლაში, მწერლობაში, საზოგადოებაში,—ერთხელვე არჩეულ სამ ცნიერო პედაგოგიურ და ეროვნულ თვალსაზრისის ძწორე გზით მტკიცედ მოსიარული,—აი ლუარსაბი.

განხორციელება დაუზარელი შრომის, მოციქული ეროვნული სკოლის, მტკიცე აღმსრულებელი მოვალეობის მამულიშვილი და დემოკრატი,—აი ლუარსაბი...

ლუარსაბი დაიბ. 1867 წ. სოფ. ნოღაში. მამა მისი სოფლის ღარიბი მედავითნე იყო. პირველდა წეყბით სწავლობდა სოფელში, გაათავა ქუთაისის სასულ. სასწ., შემდეგ ხონის საოსტატო სემენარია და წინამძღვრიანთ კარის სკოლაში გამწესდა მასწავლებლად, აქედან—1893 წ. კავკავის ქ. შ. წ. კ. ს. სკოლაში სადაც ქართველთა საზოგადოებრივ წინსვლას ძლიერ შეუწყო ხელი. 1906 წ. თბილისს გადმოსახლდა ქართული გიმნაზიის მასწავლებლად და ამავე დროს არჩეულ იქმნა ქ. შ. წ. კ. გამვრცელებელ საზ. გამგეობის წევრად. ორივე ამ ადგილს შერჩა სიკვდილამდე. ამავე ხნიდან დაიწყო ჟურ. ,,განათლების გამოცემა, რომელშიაც მრავალი სამეცნიერო საპედაგოგიო საყურადღებო წერილი მოუთავსებია. ახლო მონაწილეობას იღებდა ჟურ. ,,ნაკადულში'', ,,სახ. გაზეთში" და სხ. 1902 წ. გამოსცა. ,,არა ბუნებრივობა ეგრედწოდებულ ბუნებრივ მეთოდისა'' (ძველი გამარუსებელ უკუღმართი სწავლების წინააღმდეგ), მისი საყურადღებრ წერილებია; ,,ზოგადი განათლება და საპროფესიო სკოლა'', ,,საყოველთაო განათლება დასავლეთ ევროპაში'', ,,სკოლა და სოციაიზმში'' და სხ. იყო წევრად დასავლეთ საქართველოს მასწავლებლათა კავშირის გამგეობისა, შარშან ხელ მძღვანელობდა მასწავლებლთა კურსებს და სხ.

ვინ ჩამოსთვლის მისი მუშაობის სხვა მხარეებს?

და ყოველ საქმეში, ყოველ ასპარეზზე ჩუმი, მუეაითი მუშაკი იყო.

აი როგორ ახასიათებს ლუარსაბს სახალხო მასწავლებელი ვარლამ ძიძიგური:

,,ლუარსაბ ბოცვაძე ერთი იმ ადამიანთაგანია, რომელსაც უეჭველად იცნობს ყოველი ქართველი სახალხო მასწავლებელი. იცნობს კარგი მხრივ, იცნობს, როგორც დაუღალავ საქართველოს მიჯნურს, ჩვენს პესტალოცს, მასწავლებელთა მასწავლებელს, უბრალო, უმწიკვლო ადამიანს. გარდა დაწერილ ნაშრომისა ლუარსაბს სოფლებში მასწავლებელ-ამხანაგებთან დაგზავნილი წერილები აქვს, რომლითაც მეტს აკეთებდა, ვინემ რომელიმე პუბლიცისტი დღიურ ჭირვარიმზე კაბინეტ-რედაქციებში ,,ვარლამ,— მწერდა ლუარსაბი 1911 წ.—სირცხვილი არ არის კუთხეში ერთი სამკითხველო გქონდათ და ისე გაგიქრათ, რომ მისი ხსენებაც არ არის დღეს'', ყრუანტელმა დამიარა სირცხვილმა დამწვა. თავი მოვიკალ, რომ აღმედგინა დაცემული სამკითხველო. მხოლოდ ის, რომ ლუარსაბ ბოცვაძე სახალხო მასწავლებლად იყო, საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ შესაძლებელია სოფლის მასწავლებელმა იმ სიმაღლემდე მიაწიოს, რომელზედაც იდგა ლუარსაბი, რითაც აცხოველებდა ენერგიას. მეტად ახარებდა სახალხო მასწავლებელს. ის მოულოდნელად, უცებ გაქრა. წავიდა თავის საყვარელ იაკობ გოგებაშვილთან.''

და აი ასეთი მოღვაწე გამოაკლდა ქართველ ჭეშმარიტ მოღვაწეთ მცირე ჯგუფს

თიბათვის 24.—მადლიერმა სამშობლომ საზოგადო ხარჯით დაკრძალა დიდუბის პანთეონში თიბათვის 27.

განსვენებული გრძნობიერი და შინაარსიანი სიტყვებით დაახასიათეს: ვ. ჭუმბურიძემ (სახალხო განათლების სამინისტროს სახელით) პ. წირქვაძემ (აღმოსავლეთ საქართველოს მასწავლებელთა კავშირის სახელით) დ. კარიჭაშვილმა, მე 7-ე გიმნაზიის დირექტორმა ჩიგოგიძემ და აპ. წულაძემ.—მათ გულწრფელ სიტყვებში ირკვეოდა ამ შედარებით პატარა უხმაურო კაცის დიდი ეროვნულ—საზოგადოებრივი და სამასწავლებლო ღვაწლმოსილი მუშაკობა,

საუკუნოდამც დარჩება ამ ჭეშმარიტი მოღვაწე მასწავლების ხსოვნა!...

**იოსებ არიმათიელი**

## სახალხო მუშაკი



ალექსანდრე ლანდია
[გარდ. წლის თავის შესრულების გამო]

ცხრაას ხუთიდან ს.-დ. გაზეთებში მუშაობდა, იმავე ხანებში სახალხო წარმოდგენებში მონაწილეობდა, იყო საავადმყოფოების დაბალ მოსამსახურეთა კავშირის მდივნად, თბილისის პროფესიონალურ კავშირთა სეკრეტარიატის წევრად, ბოლოს მუშათა კლუბის გამგედ რომლის თანამდებობაში კაციშვებით დაავადმყოფდა და გარდაიცვალა. დაკრძალა პროფესიონურ კავშირთა ცენტრმა. მუშათა კლუბმა მისი ოჯახობის სასარგებლოდ გასულ შაბათს სადამო გამართა. მხნე და მუყაითი მუშაკთაგანი იყო, ყველა მოვალეობას პირნათლად ასრულებდა, რითაც ამხანაგთა პატივისცემა ჰქონდა დამსახურებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თეატრი და ცხოვრება

(იხ. ,,თ. და ც.'' №7)

ჩვენმა კულტურამ ასე თუ-ისე დაიმორჩილა ბუნება ასე თუ ისე დაამშვიდა ადამიანი მისი შიშის ზარისგან; თანამედროვე მოქალაქე დამშვიდებულია ეგრეთვე თავისივე მოძმის ველური ძალადობისგან,—ყველა კანონის მფარველობის ქვეშ იმყოფება. მიუხედავათ ამ გარეგნული სიმშვიდისა, ჩვენი კულტურული ცხოვრება წარმოადგენს სასტიკს, ულმობელ; ჩუმს ბრძოლას სიცოცხლე-სიკვდილისას! მძაფრი, გაცოფებული ბრძოლა არსებობისთვის! სახელმწიფო სახელმწიფოს, ერი ერს, კლასი კლასს, დიდი პატარას, პატარა დიდს, ძმა ძმას —ყველა ერთს, ერთი ყველას

—ზედ გამოჭრილია ჩვენზე: ადამიანი ადამიანისთვის მგელია! ვისაც პური არა აქვს,—პურისთვის; ვისაც პური აქვს—ნაზუქისთვის, ვისაც ნაზუქი—თაფლისთვის, ვისაც თაფლი—მილიონისთვის, ვისაც მილიონი- -მილიონებისთვის, კიდ ვ მილიონებისთვის—ბრძოლისთვის! ამ ბრძოლაში მადა თან და თან იზრდება,—მადა უსაზღვრო, უაზრო, სნეული, მხეცური და ამ კ ა ნ ო ნ ი ე რ ს „მშვიდ“ ხელ—ჩართულში ჰგლეჯენ ერთმანეთს კბილებით, ფრჩხილებით; ზელენ ხელებით. ფეხებით, ვერაგობით. პოლიტიკით, დიპლომატიით, კონვენციებით! ცილინდრ—გალსტუქ ქვეშ ამოფარებული არა სჩანს თვალით ეს ბრძოლა, მაგრამ კაცობრიობა კვნესის, დრტვინავს ამ საგიჟეთში!

და ეს არის ჩვენი კულტურული ცხოვრება!

ტოლსტოის თქმისა არ იყოს, კაცობრიობა რაღაცას წამოედო,—ეს ნათელია, და ვერავითარი პოლიტიკა—მემარჯვენე იქნება თუ მემარცხენე—ვერ უშველის საცოდავს ადამიანს, ვიდრე მთლად არ დაინგრევა, მთლად უარყოფილი არ იქნება თანამედროვე კულტურის გეზი.

ამ საგიჟეთში ადამიანი დარეტიანებულია, როგორც წერაქვით თავში დაკრული; არც ერთი წამი შეჩერებისა, სიმშვიდისა—გარბის გიჟივით და გაოგნებული მხოლოდ ინერციულად იქნევს ხელებს, ფეხებს, სთელს და ითელება მასავით გამხეცებულ ხროვაში! ამ უგვანა კულტურაში გადაგვარდა ადამიანის მშვენიერი ბუნება—ფიზიკურადაც და სულიერადაც. დღევანდელ მოქალაქეს ორ არშინიანი ქამარი აღარა სწვდება ფაშვზე და მისთვის დაფარულია სამუდამოდ საკუთარი მისივე მუხლები; ისევე გადაგვარებულია მისი სული, მთლად ცხოვრების გემოვნება. ბავშვი 6—7 წლიდან წახრილი ზის შეხუთულ კიდობანში; სიყვარულის ასაკი და უფლება განსაზღვრულია სოციალ—ეკონომიური პირობებით და ეს უძლიერესი, უმშვენიერესი გვირგვინი სიცოცხლისა გარდაქცეულია საბირჟო სპეკულაციად. გარყვნილება დაკანონებულია უკანასკნელ გახრწნილობამდე, მხოლოდ კანონს გარეშე შვილის ყოლა სიცოცხლით სავსე ქალისთვის მოქალაქეობრივ სიკვდილს უდრის. ცეცხლივით ანთებული ჭაბუკისთვის შეუძლებელია სიყვარული, მხოლოდ კანონის დასტურით მის წინ ღიაა ლაჩირქებული სარ ასკიპოები! ბუნება დახურულია მქვარტლით მოცული კულტურისთვის და მუცლის ნებივრობა კულტადა აქვს გამხდარი ფაშვად ქცეულს მოქალაქეს: აღარ ჩაგდის,—ჩაიყავ პირში თითი, გაინთავისუფლე მუცელი და იწყე თავიდან მისი ამოვსება! ფული, ტიარა, მინისტრის პორთფელი, ჩინი, ორდენები—ოცნებად აქვს გამხდარი კაცობრიობის უაღრესად კულტუროსანს ნაწილს; სახელოვანი პროფესორი დიდი ბიუროკრატი ოლიმპიელის სახის გამომეტყველობით ატარებს თავის გულ-მკერდზე წითელ- ყვითელ ლენტებს და ბჭყვრიალა ორდენ'ს. ზევით ვერ ინელებენ, ქვევით არაფერი აქვთ მოსანელებელი. ფარისეველთა სინედრიონი ჰმართავს ცხოვრებას, ქრისტე ჯვარზე ჰკიდია. ჭკვა-სუსტი მთავრები, გაიძვერა მელიები ბრძანებლობენ თითის ქნევით, შექსპირებს—კი გომურებში ,,აქვთ პატივი'' ხოტბა შეასხან მფარველ ლორდებს!.

,,დრო—ოქროა''—დევიზია ჩვენი კულტურისა. . ი. მთელი შენი დრო, ენერგია, ჭკვა, მეცადინეობა, გაიძვერობა, ვერაგობა მოანდომე ოქროსთვის ბრძოლას რასაკვირველია, ,,კანონიერების'' ფარგლებში,—გათელე დაღუპე მეტოქე, აავსე ბანკები შენი ოქროთი, შეიმოსე ძლევა-უფლებით და ისტორიაში აღიბეჭდება სახელი შენი, ვითა ცეზარის, მაკედონელისა!

მერე ვინ არიან ეს ახალი ,,ცეზარები''.—ადამიანების საუკეთესო წირმომადგენელნი? ბუნების უძვირფასესი შვილნი?

ბუნების საუკეთესო, ძლიერი შვილი იღუპება ამ უგვანო ბრძოლაში, როგორც გმირი მყრალ ტბორეში. თუ მას მშვენიერი აგებულება დამახინჯებული არა აქვს კულტურული ლაყუჩებით; ვერც ძლიერი სხეული ვერც გონიერის ჭკვა, ვერც გმირული სული ვერ იხსნის მას დაღუპვისგან, თუ დროზე არ გამოიხსნა ეს ლაყუჩები—პრაქტიკული გამჭრიახობა, გაიძვერობა, ვერაგობა, ფარისევლობა. სიბრძნე თანამედროვე ცხოვრებისა გაქონილ მედუქნის, გაიძვერა მოხელის ერთ ფრჩხილში უფრო მეტია ვიდრე კანტის და ბეთხოვენის მთელ თავში: პირველნი საკუთარი მეფური გემებით დასეირნობენ: უკანესკნელნი გალესილი ნახშირითა სწერენ თავიანთ პროლეგომნებს და სატირებს. პირველნი მეფობენ ცხოვრებაში; მეორენი მხოლოდ ისტორიაში. ვეფხვივით ლამაზი გმირი ბაჯაჯღანა სალდათის ტყვიით კვდება; კარლ მოორი მხეცივით ტყეში დაძრწის, გასიებული ბანკირი ტურფა საყვარლებში ქეიფობს...

ამ უგვანო ხელ—ჩართულში ადამიანს არა აქვს დრო მშვიდად განიცადოს კიდევ რამ გარეშე სპეკულაციისა; ეკარგება ხალისი, ცხოვრების გემოვნება და ყველაფერი, რაც-კი სდგას გარეშე სპეკულაციისა, ფუქსავატობად ეჩვენება; უხეირო კულტურის ეს უხარო შვილნი პოეზიაზე ლაპარაკობდნენ: ტუჩების ირონიულ პრანჭვით; მათი ცოლები, საყვარლები დადიან თეატრში, როგორც კაბების გამოფენაზე და საყვარლების შესახვედრად; კარუზოს ისმენენ ჩაის ჭიქებით ხელში და მათთვის დიდ განსხვავებას არ წარმოადგენს, ვინ ართობს მათ—,,შალიაპინის ყანყრატო'' თუ შარლატანი. ერთია აუცილებელი პირობა—ი ა ფ ა დ ა რ უ ნ დ ა მ ღ ე რ ო დ ე ს!

აი პუბლიკა—ის უმთავრესი მომქმედი პირი, ურომლისოდაც სცენა მკვდარია!

რა აქვს საერთო ანგარიშის „ჩო კად“ ქცეულ სულს თეატრთან?! რა ძაფი უნდა გაიბას სცენის და ამ პუბლიკის შორის?! სად არის ელინური თეატრის ცრემლ-მფრქვეველი მაცქერალი! კიდევ კარგი, თუ შიშველი გოგოები ფეხებს იქნევენ სცენაზე, თორემ რა აქვს საერთო ,,ოცნების ზღაპრებს'' ბანკირის გასიებულ ფაშვთან; ან პოლიტიკოსის გამშრალ ტვინთან!

დაბალი ხალხი გაჭირვებას თავს ვერ აღწევს; თეატრი მისთვის ეპიზოდია. თეატრის მუდმივი სტუმარია. ასე ვსთქვათ, წმინდა ინტელიგენცია რომელიც მთლად არაა ჩათრეული ტბორეში, სდგას გარეშე სპეკულანციისა, განიცდის ნივთიერ შევიწროვებას, მაგრამ შეუნარჩუნებია ინტლიგენტური გემოვნება და ინტერესი ცხოვრებისა. ეს წრე არ არის საკმარისად მრავალ—

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიცხვიანი, რომ შესძლოს ნივთიერად და ზნეობრივად გამაგროს წმინდა ხელოვნების ტაძარი და აი აქ იწყება თეატრის დაქანებამხატვრობის წვსარო ეროვნულ საზოგადო ხასიათის სპეკულიაციისკენ. სცენის შეფიქრიანებული მსახურნი ცდილობენ ალლო აუღონ ფართო საზოგადოების გემოვნებას, ეძებენ მის „სუსტ“ მხარეს და ამგვარად ზევითკი არ ეწევიმნ ბრბოს,—თითონ შევებიან ძირს მისკენ. წმინდა ხელოვნების ადგილს იკვებს წმინდაწყლის სპეკულიაცია!.

დასკვნა: თეატრი განიცდის კრიზისს იმისთვის რომ მთელი ჩვენი კულტურა ყალბ გზას ადგას და თვითც განიცდის. ამ ღრიანცელა ცხოვრებაში ადამიანი დარეტიანებულია,—მას არ გააჩნია არც სული სიმშვიდე, არც საღი აზროვნება, არც საღი სურვილები შეშლილი, გაბრუებული აქვს სიცოცხლის გემოვნება. მთელი მისი სიცოცხლე სუროგატია ქერშმარიტებისა და თითონაც სუროგატ ეძებს ყველაფერში. მისი მოთელილი გაავზნევებული ნერვები ველარ ჟღერენ ნამდვილ ხელოვნების ჰანგზე; საჭირო ხდება პილპილ—მოყრილი, სუნდაცემული სუროგატი! მაგრამ სუროგატი სუროგატია—კვება მას არ შეუძლიან.

აქ არც ხალხია დამნაშავე, არც თეატრი,—დამნაშავეა ჩვენი კულტურის ყალბი გზა!..

ნ, შიუკაშვილი

# ლ ო თ ი მ ა ყ ა რ ი

(რომანი მინიატიურებად)

დასასრული იხ. „თ. და ც.“ 7)

ნ ა წ ი ლ ი 3

დ ა ი ვ ი წ ყ ე

რად სდგეხარ ზღვის პირს და გასცქერი უსაზღვრო სივრცეს?

უცხოეთისკენ რად იშვერ შენ ხელს? ნუ თუ დროთა სვლა ვერ გავიწყებს „ლოთი მაყრის“ სახეს?

დაივიწყე!

მოაშორე მშობლიურ კერას, ნუ აჰყოლიხარ ბრმა ბედისწერას. იგი გაექცა სიყვარულს, ალერსს და უცხოეთში არ მოგიგონებს

დაივიწყე!

თორემ სიკვდილი ანაზდეულად რუხ სიცოცხლის მოგპარავს წუთებს.

მ ო გ ო ნ ე ბ ე ბ ი

მოგონებები ანაოჭებს ფერ მიხდილ სახეს, წარსულ დროთა სილუეტები სულს ავალალებს.

ეს იყო წინად, დიდი ხნის წინად, საზეიერო ქორწილის ღამეს მთვრალ მაყრებთ შორის მან შენიშნა ის, ვინც ეხლა მის სულს აწამებს;

ეს იყო წინედ;

იგი ლურჯა ცხენს მიაქენებდა, მიიჩქაროდა სადღაც სოფლისკენ, გაიაფლილ ცხოველს არ ასვენებდა...

ეს იყო წინად: მთვარე ორივეს რომ დაყურებდა, ევედრებოდა და: დარჩი ნუ მიხვალ მაგრამ უგულო ყურს არ უგდებდა.

მანანა! მანანა! მოგონებები რა რიგ გაწამებს.

უ ც ხ ო ე თ შ ი

განმარტოებით, ობლად მოკვდა უცხოეთში ლოთი მაყარი, სიცოცხლე მისი ხეტიალში დაიფერფლა ვით საკმეველი.

დაძრწოდა ქვეყნის კიდითი კიდე. ვერსად ვერ ჰპოვა მყუდრო საფარი მან სასურველი.

რისთვის წავიდა, რად დამარხა სიყმაწვილე სამშობლოს გარედ? უცხოეთი რად გარდექცა მას ცივ სამარედ?

შეუპოვარი, ამაყი სული თვით ნეტარებიბის წინაშეც კი ქედს არ იხრიდა, უკანასკნელნი თუ სიმტკიცე ნების შემოაკლდა და აქ ვითინდა.

სამშობლოსაკენ იშვერდა ის ხელს და იგონებდა მანანას სახეს.

მოკვდა.

არავინ იყო რომ დაეხუჭა მისთვის თვალები, არავინ სჩანდა, რომ შეემშრალა მისთვის ცრემლები.

მოკვდა უცხოეთში, მიაბარეს მისი ცხედარი ცივ სამარეს სვენებ სვენებით.

აქ კი ქალწული ცრემლებს ჰღვრიდა მის მოგონებით.

ბ ე დ ი ს წ ე რ ა

ბრმა ბედის წერა სიმღერებში ცრემლებს აათამაშებს, ცრემლთა ნაკადი სიხალისის ნიაღვარს მოსხლეტს.

ნათელ დღეებში თუ წყვდიადი გაშლის თვის შავს ფრთებს, თუ მომღერალი ატირდება, აკვნესდება ვით ურმულის დროს გაუქონავ ღერძის ჭრიალი...

ბრმა ბედის წერამ იცის რად ხდება ასე ვინ უწყის იქნებ ცისფერ თვალებს აღარც კი ახსოვს ის, ვინც უყვარდა?

ვინ იცის იქნებ სულ დაავიწყდა განვლილ დღეთა წარ მოგონება?

ვინ იცის, ბრმა ბედის წერამ იქნებ მართლაც ასე ინება?

და ან ვინ იცის, რომ მგოსნის გრძნობა არ ჩაეფერფლა წანაშალ ხაზებს, ამ ამბის ნაცვლად ჩვენ მოვისმენდით სულ სხვა გვარ ზღაპრებს?

მიხ. ბოჭორიშვილი

## ნაწყვეტი
(ლერმონტოვისა*)

ეს დღეც გათენდა. უკვე ალივსო
მწარე ფიალა ტანჯვა-ვნებ:სა,
ზღვა აბობოქრდა და დაამსხვრია
რკინის ბ:რკალი მოთმინებისა...

აქამდე მშვიდმა და უწყინარმა
რისხვით და წყრომით აღმართა ძალა,
აქაფებული ზვირთი ზვირთსა ჰკრა,
კიდეს მიაწყდა და გაიშალა.

მლიქვნელ მონებით გარს მოხვეული
მეფე შორითგან ზღვას გასცქეროდა
და მისი წყრომა ღიმილსა ჰგვრიდა,
ზღვის ძლიერება არა სჯეროდა.

—„ნუ უფრთხი, მეფევ, უთხრეს მონებმა:
გვიბრძანე ერთგულთ და სიტყვას გაძლევთ,
რომ აღელვებულს ზღვას დავაწყნარებთ,
თავხედს სტიქიონს ადვილად დავძლევთ!“

აგერ მეფემაც, გულით ზვიადმა,
ხელის აქნევით გასცა ბრძანება
ურჩთა დასჯისა, მშფოთვარე ზღვისა
შეკვრა, ალაგმვა, დაშოშმანება.

ზღვა-კი კვლავ ჰქუხდა, არა სცხრებოდა,
ტალღა კვლავ ტალღას ემატებოდა,
ზვირთად ქცეული, ქაფ მორეული
სასახლის კედლებს ეტანებოდა...

მიხვდა მეფე, რომ გაჰქრა ის დრო, როს
ვინც ზარბაზნის ხმას გაიგონებდა,
შიშით და ძრწოლით ზარ-დაცემული
ქედ-მოდრეკილი ყველა ჰმონებდა,

მიხვდა, შეძრწუნდა და აკანკალდა,
თვალით ეძებდა კარისკაცთ კრებულს,
მაგრამ ამაოდ... არავინ სჩანდა,
ობლად შთენოდა ბრბოს გაავთრებულს.

სასახლის ბანზედ ამაყად შედგა
და იქ ეძებდა ხსნას, მყუდრო ალაგს,
მწუხარე თვალით უმწედ უმზერდა
თავისს დიდებულს სატახტო ქალაქს...

**არ. ახნაზარი**



**დიმ. ელიშ. გიგინეიშვილი**

ს. ჯურყვეთის ერთი მოწინავე, ფრიად სასარგებლო პირთაგანი იყო, ყოველის მხრით ხელს უწყობდა სოფლის კულტურულ-ეკონომიურ წინსვლას: სკოლის სამკითხველოს. კოოპერატივის, ეკლესიის და სხ. დაარსება-აღორძინებას. პრესაშიაც მონაწილეობდა, გარდიც. იანვ. 1 დაბ. 65წ. სხოვნა მისი წარუხოცელია ვითარცა სასარ. კაცის.



ნიკო თათარაშვილი

ამ წლის 25-ში სოფ ველისციხეში გარდაიცვალა ნიკო თათარაშვილი. ნიკო ალ. ყაზბეგის თანამედროვე იყო. ის თანამშრომლობდა იმ დროინდელ ჟურნალ გაზეთებში და ემსახურებოდა ქართული თეატრის აღორძინებას როგორც სცენის მოყვარე, სუფლიორი, სცენარიუსი და პიესების მთარგმნელი. ნაწერებს ათავსებდა „მეურნეში“, „მოამბეში“ „ივერიაში“ და უკანასკნელ წლებში „თეატრი და ცხოვრებაში„, „ეშმაკის მათრახში“ და სხ. და სხვა ფსევდონიმებით. მისი ფსევდონიმებია; ნ. ველისციხელი, ნ. კახელი, ენტე, დონ-ბაზილიო, ხვლიკი და სხ.

მის სიკვდილის შემდეგ დარჩა ბევრი ხელთნაწერები.

მნაცაკანა

ქართული ეროვნული სიმღერების შემკრებ-გამავრცელებელი და ხალხური გუნდის ხელმძღვანელი, დასავლეთ საქართველოს ხალხური სიმღერების ერთი საუკეთესო მცოდნეთაგანი, ბუნებით ნიჭიერი, რომელსაც თავიდანვე სწამდა და სწამს, რომ ხალხის ეროვნულად გათვითცნობიერებას და სულიერად ამაღლებაში ეროვნულ სიმღერებს დიდი მნიშვნელობა აქვს.—ამ დღეებში მთავრობამ დაუთმო საკუთარი ვაგონი გუნდის სამოგზაუროდ. ძუკუს შეუდგენია დიდი გუნდი (ბავშვებიც კი ჰყავს) და სოხუმიდან შეუდგება მოგზაურობას სხვა და სხვა ქალაქებში კონცერტების გასამართავად. სხვათა შორის გადავა აზერბეიჯანს.—მის ასეთ მუშაობას განსაკუთრებითი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს სოხუმში. ამ საქმეში თავიდანვე ძლიერ ეხმარებოდა აწინდელი ქ. თბილისის მოურავი ბენია ჩხიკვიშვილი, რომელმაც, სხვათა შორის, გუნდისათვის შესძინა 22 ხელი ტანისამოსი.—ვუსურვოთ ამ ჩვენს ხალხის ნამდვილ ხელოვანს წარმატება და გამარჯვება.



**ლოტბარი ძუკუ ლოლუა**

---

*] ეს რუსეთის ცენზურის მიერ აღკრძალული ლექსი პოეტისა პირველად 1906 წელს დაიბეჭდა ჟურ. ,,ბილოე''-ს მაისის №-ში.

ეროვნული ბიბლიოთეკა



საგარეჯოს საფეიქრო სკოლა ანნა კაპანაძისა (1).

საგარეჯოს საფეიქრო სკოლა სულ ოთხიოდე წელიწადია რაც დაფუძნდა. მისი სულის ჩამდგმელია ანნა კაპანაძე (1), სკოლის მთავარი გამგე, რომელმაც საფეიქრო უმაღლესი კურსი დაამთავრა ქ. ტვერის ს. სოსნოვიცის უმაღლეს საფეიქრო ინსტრუქტორების სკოლაში. კურსი გაათავა 1913 წ. ორი წელიწადი ყუბაში იყო შემდეგ სტეფანწმინდაში ინსტრუქტორად, მცხეთაში და ქარელში, 1915 წ. საგარეჯოში. მან საკუთარი სახვევი მანქანა [მანჯანიკი აბრეშუმისა) გამოიგონა. დიდი ბრძოლა დასჭირდა, ვიდრე საგარეჯოს სკოლას ფეხზე დააყენებდა: ერთის მხრით ხალხის ცრუმორწმუნოება, მეორე მხრით ზოგიერთ მოხელთა თავგასულობა,—აი მისი დაბრკოლება. მიუხედავად ამისი, სკოლა უკვე მოქმედებს და ნაყოფიც გამოიღო. ამ სკოლაში ორი წლის კურსია. ერთი კურსის მოწაფენი (16] უკვე გავიდნენ და ზოგიერთი მა-განი მასწავლებლად გამწესდენ სხვა და სხვა სოფლებში და საფეიქრო სკოლები მოაწყეს. აქედან მასწავლებლად გამწესდენ: მანანა თედიაშვილი (2)—თიონეთში, ნინო მჭედლიშვილი, (3) და მარო ჯაფარიძე [4] ბოდბისხევში, ანნა ქურხული (5)—პატარძეულში, ვარო ქურხული [6]—ნინო წმინდაში, კატო ესიაშვილი (7)—ამავე სკოლის მასწავლებლის თანაშემწეა. დანარჩენი კურსდამთავრებული მოწაფენი: თამ. მჭედლიშვილი, მარ. მეზვრიშვილი, ელ. სორაძე, ოლა ავლაბრელი, ს. ვართანოვი, თ. ხეზრელაშვილი, ან. მანველიძე, კ. დარბაისელი, ბ. დოლენჯაშვილი, ელ. მანველიძე და სხ.—ან. კაპანაძეს განუძრახავს სკოლაში შემოიღოს მევენახეობა, მებოსტნეობა, სელის და ბამბის თესვა-მოყვანა და სხ.

## თეთრი გიორგი

(ბორის კორნეევიდან)

კუთხე—რომელშიც რუსთაველის მზით მწიფდება მძიმე მტევნები ვაზის—
ვისაც სიმღერით წვავდნენ მრავალგზით: მას კვლავ აანთებს მზე სილამაზის
კუთხე—რომელსაც უჩანს სიმბოლოდ რაინდი შუბით დ თეთრი რაშით
ამაყად წავა სასიხარულოდ და მზით დატკბება—როგორც ნირაქით.
ვხედავთ მხარეებს-სადაც სიკვდილი დახარის ველებს სისხლით დანამულს
და მაინც გვჯერა: გიორგის ჩრდილი დაიხსნის ასე დაღალულს მამულს!

***

## ტურფა ქალწული

ტურფა ქალწული ვიხილე ერის ბაღჩასა სწვეოდა,
ვითა შუქურა ლაჟვარდ ცას, აგრე ხატავდა, მზეობდა.
იმ ქვეყნური სიმშვიდე, გიშრის თვალებში უკრთოდა
და ქარავანი გრძნობათა, ზენა ფიქრების დაჰქროდა.
განვცვიფრდი: ნეტავ ვინაა, ვარდი ედემში რგულია,
ეგ ზეციური სიტურფე სადაა ხორც-შესხმულია?!
რომ გაჰქრეს,—დამწვავს, დამდაგავს ჯადო, სევდა და
წყლულია!!!.

შორით შევცქერდი მედიდურს, ვითა ვარსკვლავი მთვარესა
და ქების ჯილას ვაფრქვევდი მოკამკამ- მოელვარესა!..
უეცრად თვალი თვალს შეხვდა, გადმომაფრქვია სხივები,
სატრფომ საბადლოთ შევკადრე, უძლევენი მორცხვად იები
ჩემს ციურ გრძნობას გასცვივდა უკვდავებისა მძივები..
თავი დახარა,—გმადლობო, ტანი არითმდა ციური,
გაცისკროვანდა მარჯნები, მარგალიტები მზიური
და ახმატკბილდა გალობა, სადიდებელი ღვთიური..
და საქართველოს ხატება, ძეძევამოსილი, წყნარია
დაიძრა ნელის ნაბიჯით, შევცქერდი გულ-დამწვარია.
ველარ შევძელი დარჩენა, ბაღით განველი მქრალია,—
ეტლით მოჰქროდა, ვით ველად, ელვა ნარევი ქარია. .
ციური ხმების გუგუნი ეფინებოდა მთა და ბარს
და მის გარშემო ავლევდა ზენა შეუვალ ცეცხლის რკალს.

გ. დათიაშვილი



ალ. პეტ.—ძე სარაჯიშვილი

ქართველი მრეწველი, დ. ზ. სარაჯიშვილის ქარხნას გამგედ ყოფილი, მუყაითი კაცი, ს. ბაკურციხეში გამართა ორთქლის წისქვილი, დააფუძნა შემნახველ—გამსესხებელი ბანკი, დ. ზ. სარაჯიშვილისგან ნაჩუქრი ზვარი ეროპიულის წესით დაიმუშავა და საერთოდ დიდ კულტურულ-ეკონომიურ მუშაობას ეწეოდა. იგი ძმა იყო მომღერალ ვანო სარაჯიშვილისა და ხელოვნების დიდ პატივისმცემელი, ავაზაკდამცემთ ვერაგულად მოკლეს ბაკურციხეში გასულ თვეს, რაიცა ქართველ ახალ მრეწველობისა დიდი დანაკლისია. მისი მკვლელთაგან ცხრა შეიპყრეს და ყველას დახვრეტა გადუწყვიტეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა




**სანდრო მაისურაძე**

სახალხო გვარდიის შტაბის წევრი; მუშა-რევოლიუციონერი; სომხებთან ბრძოლის დროს ეკატირინოფელდთან დაღუპული. ექვსი თვის შესრულების გამო.

## სიტყვა

### სანდრო მაისურ ძის კუბოსთან.

(დასასრული იხ. თ. და ც. №3)

თავისუფლება უკვე ვიგემეთ და ვსცანით, რომ მხოლოდ ის არის ერთად ერთი წყნარი ნავთსაყუდელი ყოველი ერისა კერძოდ და კაცობრიობისა საზოგადოდ.

აი, ამ რწმენით დაულევია ბრძოლის ველზე სული ჩვენს წინაშე მდებარე გმირს სანდრო მაისურაძეს. დახედეთ, საყვარელნო, ამ გმირის დამშვიდებულ სახის გამომეტყველობას. მის სახეს ღიმი დასთამაშებს. მას მწარე ღიმი დაჰკვდომია პირი სახეზე, ის თითქოს ასე უსაყვედურებს მუხანათ მტერს: მე თუმცა სიცოცხლე მომპარეთ. რვა თვის ჯვარდაწერილს ტოლს გამომთიშეთ ახლად განთავისუფლებულ სამშობლოს ქურდულად გამომასალმეთ, მაგრამ ასეთ მოქმედებით საქართველოს ვერ ჩაუქრობთ თავისუფლების ლამპარს.

დიაჰ, სანდროს და მისსავე გმირ ამხანაგების (32 თა) ვერაგულად დახოცვით საქართველო არ შეკრთება ოდნავადაც. პირიქით, ამათგან სამშობლოსათვის დათხეული მოწამებრივი სისხლი თავდებია იმისი, რომ ჩვენი ცოცხალი თავით ჩვენს სამშობლო მიწაწყალს და წინაპართა წმინდა საფლავებს ვერავის დავანებებთ. ვერავის გავათელვინებთ, ზედ დავაკვდებით ყველანი. სამშობლოს თავისუფლების ალმართულ საკურთხეველზე სამსხვერპლო ზვარაკად დავეცემით[?] ამას შეჰღაღადებს ჩვეცას ამათგან ბრძოლის ველზე გმირულად დათხეული სისხლი.

ამიტომ გვრწამს, ვსასოებთ იმით, რომ სანდრო და მასთან ერთად სამშობლოსათვის თავდადებულნი **ა რ მ ო მ კ ვ დ ა რ ა ნ.** ისინი თავისუფალ საქართველოს მეხსიერებაში მუდამ ცოცხალნი იქმნებიან, საყვარელნო. ასეთი სიკვდილი უკვდავია. ასეთი სიკვდილი ბედნიერებაა, სანატრელია. ამათ, როგორც მაცხოვარმა გვაცნო, თავი დასდვეს მოყვასთათვის, ესე იგი ჩვენთვის ამათ მაგალითი მოგვცეს მისაბაძი, რომ ქვეყანას პატრონობა უნდა; მისთვის არა დავზოგოთ რა, არც ნივთიერად, არც სულიერად და არც ფიზიკურად, --ყველაფერი სამშობლოს ვანაცვალოთ, რომ მისს უკვდავებაში ჩვენც,--წუთი სოფლის სტუმრები,—უკვდავნი ვიყვნეთ.

სანდრო მაისურაძისა და მის გმირ თანამოსაგრეთა საფლავი არის ის საძირკველი ის ქვითკირივით დადუღაბებული საფუძველი, რომელზედაც თამამად შეგვიძლია აღვნიშნოთ სამშობლოს თავისუფლების, მის საზღვრების ზღუდე—კედლები.. მოგეხსენებათ, რომ ,,თუ საძირკველი დანგრეულია, მაშინ კედლების აშენებისთვის ყოველი შრომა დაკარგულია''.

მაშ, დღეს ამ გმირთა საფლავი ,,ნაძალადევში'' უნდა ვაღვიაროთ სიმტკიცის წინადით და გამომხატველად. თვით ამ გმირთა .,საძმო სასაფლაო'' **ნ ა ძ ა ლ ა დ ე ვ შ ი**,—ესეც კი ჩვენი თავისუფლების სიმბოლოა. ,,ნაძალადევში'' ისტორიულ სახელად ეწოდება ჩვენი დედა ქალაქის ერთ განაპირა კუთხეს, რომელიც **ძ ა ლ ი თ** გამოჰგლიჯეს ჩვენმა მუშებმა, ჩვენმა მშრომელმა დემოკრატიამ, ტფილისის სომხის პლუტოკრატიას ხელიდგან. ამ უკანასკნელმა გამოჰხრა, გამოსწოვა და გამოჰფიტა ჩვენი ერის ნივთიერი კეთილდღეობა, სოფლად თუ ქალაქად, ამ ჩვენს დედაქალაქშიაც კი. ამიტომ ჩვენი ქართველობა გაღარიბებულ გაღატაკებული, გაიხიზა ქალაქის განაპირებზე ,,ნაძალადევში'' განსაკუთრებით. აქედგანაც ერეკებოდა მათ სომხის პლუტოკრატია, მაგრამ პირველი მედგარი ბრძოლა ჩვენმა მუშებმა გადიხადეს აქ, აქ მოიდგეს მათ ფეხი, აქ ჩაუყარეს მათ საძირკველი ჩვენი დედაქალაქის და მასთან ერთად თავისუფალ საქართველოს იდეას.

ეს ,,საძმო სასაფლაო'' ამიერიდგან თავს დასცქერის ჩვენს დედაქალაქს. ამ სასაფლაოებიდგან, ღამის გუშაგის სხივებზე—აღიმართებიან სანდრო მაისურაძის დ მისთანათა უკვდავი სულნი. ესენი ისევ თავს შემოგვევლებიან, საყვარელნო, გაგვამხნევებენ, გაგვაფხზლებენ, გაგვაერთიანებენ ქვეყნისათვის უანგარო, თავდადებულ სამსახურისთვის. ამათ გმირულად დაღუპვამ აახმაურა კიდეც მთელი საქართველო. გრგვინამს ჩვენი ერის რისხვა კიდით-კიდემდე, იარაღში სხდება მთელი ერი. ირაზმება და მიდის ის, რათა შეასრულოს თვისი ისტორიულ სახის აღდგენა, რათა დაიცვას მთლიანი საქართველო მისს გუნებრივი და კუთვნილ საზღვრებში.

დღეს დიადი, იშვიათი სანახავები უნდა ვიხილოთ: ოცდა თორმეტი კუბო სამშობლოსათვის თავდადებულთა ერთად გამწკრივებული წარემართვის საძმო სასაფლაოზე ნაძალადევში დასაკრძალავად. ეს არა ჩვეულებრივი მამულიშვილური განცდაა, ეს დაუვიწყარი დ წარუხოცელი სურათია ჩვენს ეროვნულ გამოფხიზლებაში. საქართველომ უნდა იცნოს თვის მტერ-მოყვარენი. დეე, იცოდნენ მათ, რომ საქართველო სახელმწიფოა, მასში მუხანათებს და მოღალატეებს აღარ ექნებათ...

დღევანდელი განცდა ჩვენ, საყვარელნო, რომ ეს გმირთა საფლავი არას დროს არ დავივიწყოთ; განვაგრძოთ. დავასრულოთ ის წმინდა საქმე, რისთვისაც სანდრო მაისურაძემ და მისთანათა თავი დასდვეს.

აქ უნდა მოვიდეთ და გამარჯვებულ საქართველოს სახელით ამათაც ჩავსძახოთ: ,, გაიმარჯვა საქართველომ'', კურთხეულ იყოს თქვენი სახელი აწდა უკუნისამდე.. ამინ.

**დეკ. ნ. თალაკვაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# განახლებული სიცოცხლე

## რომანი

### ქართველ-სომეხთა ომიდან

[ლ. გუდიაშვილის ნახატებით]

(გაგრძელება.–იხ. თ. და ც. № 7)

ამასთანავე წარმოიდგინა სომეხთა უპურმარილობა: საქართველოს რესპუბლიკა რამდენიმე ათას სომეხს ინახავს, როცა თითონაც უჭირს... მოიგონა ოსმალთა შემოსევის დროს საქართველოს ჯავშნოსანთა უფროსმა ვ. გოგვაძემ რამდენიმე ათასი ბავშვი და ქალი სიკვდილს რო გადაარჩინა, რომლებიც მთელი თვეობით ბალახით იკვებებოდნენ, ქალაქს წაიყვანა და საზრდო გაუჩინა..' მოაგონდა და გული ზიზღით აევსო: „ნუ თუ ეს ის ხალხია, რომელმაც არასოდეს სიკეთის დანახვა არ იცის და პურმარილისა არაფერი სწამსო?!"

ყოველივე ეს ფიქრი ერთი მეორეს გადაეხვლანჯა, მაგრამ გენერალს მოსაზრება-კი არ დაუკარგავს... ვითარცა გამობრძმედილმა სარდალმა, შესაფერი განკარგულებანი გასცა, ყოველივე მთავრობას აცნობა და ამავე დროს სასწრაფოდ გამოიწვია ჯავშნოსანი მატარებელითურ ვალოდი გოგვაძე, ეს რევოლიუციის პირველი მხედრი. ჯავშნოსანი, სომეხ-თათართაგან შაითან-მაზინად და დემონად აღიარებული, უებარი სახსარია ბრბოთა გასაფანტავადო...

—მაშ ასე. მეგობარო, უთხრა გენერალმა ქართველ მწერალს: აი, არა სოციალისტებთან სოციალისტურად მოქცევას რა შედეგი მოსდევს!..

—როგორ, ნუ თუ საიმისო მოხდება რამე?

—ეს ამბავი უომრად არ გათავდება.

—მე-კი სულ სხვა მეგონა...

—როგორც ყოველ ჩვენს სოციალისტამხანაგს,..

—დიაღ... მერე რას მოიგებენ?

—სომხები?—ჰაი-ჰუის ხომ ასტეხენ და მაგათ მეტიც არ უნდათ... მაგრამ თუ ჩვენმა ჯარმა ბათუმის ამბავი აქაც გაიმეორა და სირცხვილი გვაჭამა, მაშინ მშვიდობით ქართველთა ქებულო გმირობავ!..

—ნუმც იქნების ეგე!...

—ვინ უწყის..

—შულავერ-დალით-ხაჩინს ვერ ვუწევთ?—იკითხა მცირეს სიჩუმის შემდეგ.

—ახლა? ძლიერ საეჭვოა ამათ შესახებაც მაქვს არა საიმედო ცნობები..' იქაური ტერტერა..'

—რა, ტერტერა?—იკითხა უცებ ქართველმა მწერალმა.

—რაზე გაიოცეთ, იცნობთ?

—დიაღ, მას ქალი ჰყავს...

—ოჰ, ქალი-კი არა ქაჯი... ორივე სალჩობელის ღირსია..

—მაშ ვერა ვნახავთ?

შეეკითხა კვლავ გულნაკბენი ქართველი მწერალი,

—ვერა...

ქართველ მწერალს ისე აერია აზრები, რომ ბოლოს თავისივე სიტყვებისა შერცხვა.'. „აქ სამამულო ომი იწყება და რა დროს ქალიაო?" ამას ეუბნებოდა გონება, გულში კი რაღაცა გველივით წინაალმდეგს უსისინებდა...

ქართველ მწერალს ყოველივე ნახულ-მოსმენილმა გულზე შხამი დაანთხია. და გამტკნარებული გამოემშვიდობა მწერალს.

თბილისში რომ ჩამოვიდა, რაც ბორჩალოში განიცადა ამხანაგ-მეგობართ უამბო. ბევრმა ეჭვის თვალით შეხედა ქართველი მწერლის მონათხრობს: შოვინისტად ხომ არ გადიქცა,—რასაც კაციჭამია გაზეთები ავრცელებენ, ესეც იმავეს იმეორებსო. ერთმა მოწინავე ქართველმა მუშამ ხომ სულ განზე დაიჭირა საქმე: „ამხანაგო მაგი ნამდვილი პროვოკაცია, ტენდენციურად გავრცელებულიო!" და ამხანაგთ შორისაც ხმა გაუგდო—ამ კაცს ტვინი გადაჰბრუნებია და ცოტა უფრთხილდითო. არა ნაკლებ ურჩობდენ სომეხთა მოღვაწენი, რომელთაც ქართველ-სომეხთა ვითომდა ერთობისა და ძმობის განსამტკიცებლად სადამოც კი გამართეს.

შეურაცხყოფილი ქართველი მწერალი საქმის ასე დატრიალებით გაორჭოფდა: თვით ცამდე მართალი, ყოველივეს თვალით მნახველი და ყურით მომსმენელი მტყუანი გამოჰყავდათ... მამულისადმი მოვალეობა ერთს აკისრებდა, გული-კი მამულის მტრის ქალთან მოუხმობდა შესაერთებლად..'

და ასე გაორჭოფებულს სამშობლოს მომავალი ბინდბუნდში გამოხვეული ეჩვენებოდა..-

—სამშობლო ჩემო, ნუ თუ შენი შვილი შენს წყლულებს ვერ იცნობს, ნუ თუ კვლავ სისხლის კალოდ გადიქცევი და მოწინავე დემოკრატიის ოცნებანი სისხლში ჩაიხრჩობა?—წარმოსთქვა და ბოლოს გაიფიქრა ნუ თუ საქმე ისე აიწეწ—დაიწეწება, რომ ჩემს შავთვალა ტყისშველს თვალს ველარ დავკრავ?.-

(გაგძელება იქნება შემდეგ ნომერში)

## ლეკური ხალხური სიმღერა

(გადმონიდი ქართულად სოფ. ბელოქანში)

მე მოვსულვარ, მე მოვსულვარ,
შაირი მოგითვალო
არ მოვსულვარ, არ მოვსულვარ,
ნახირი დაგითვალო.

ჰეი, ჰეი ჭრელ ქუდა,
ჰეი, ჰეი ჭრელ ქუდა.
ჰეი, ჰეი ჭრელ თვალა,
მე შენ თავს განაცვალა.

მე მოვსულვარ, მე მოვსულვარ
გიყურო, ჩემო მწველო;
არ მოვსულვარ, არ მოვსულვარ,
რომ თხები დაგიწველო.

ჰეი, ჰეი ჭრელ ოვალა,
ჰეი, ჰეი ჭრელ თვალა,
ჰეი, ჰეი ჭრელ ქუდავ
შენთან მამყოფა მუდამ.,

მ. ველისციხელი

ეროვნული ბიბლიოთეკა



**გრ. საქარიქედელი**
(გრ. მაჭავარიანი)

გაზ. „საქართველოს რესპუბლიკის“ მდივანი, ყოფილი სახალხო მასწავლებელი, მწერალი. 10-წელია რაც თანამშრომლობს სხვა და სხვა პერიოდულ გამოცემებში [„ალიონი“, „განათლება“ „თეატრი და ცხოვრება“, „ბათუმის გაზეთი“ და სხ.] გადაკეთა პიესად „მოსე მწერალი“ ე. ნინოშვილის მოთხრობიდან, რომელიც ჩვენ ჟურნალში დაიბეჭდა; დაწერილი აქვს. ჯერ გამოუქვეყნებელი ორიგინალური პიესებიც.

---

# კუდიანობის მსხვერპლი

**პიესა ორ მოქმედებად**

**დავ. კლდიაშვილის** მოთხრობა „მსხვერპლიდან“ გადმოკეთებული **გრ. საქარიქედელის** მიერ.

მ ო მ ქ მ ე დ ნ ი.

1) **ფეფენა**—55 წლისა
2] **ნიკა**—შვილი მისი—27 წლისა
3) **მარინე**—ცოლი ნიკასი 21 წ.
4) **ონისიმე ფოცხვერაძე**—ბიძა ნიკასი 45 წ.
5) **სოფიო**—ცოლი მისი 38 წ.
6) **მარკოზა ხმელაძე**—ბიძა ნიკასი 45 წ.
7) **ესმა**—ცოლი მისი 38 წ.
8) **ვასილ საიქიოძე**
9) **მარა**
10) **ღებრო** მეზობელი ქალები
11) **პილასი**
12 **დავით კარგდულაძე**

**მ ო ქ მ ე დ ე ბ ა  პ ი რ ვ ე ლ ი**

(სცენა: იმერული გლეხის სამზარეულო: შუა ცეცხლი, მარცხნივ თარო; საჭირო ავეჯეულობით, მარჯვნივ ტახტი, ორი ტაბურეტკა, ცეცხლთან ახლოს სამ ფეხა სკამი)

1

(კულისებში მოსჩანს მარინე ჩაფით მხარზე, შეხვდება დავით კარგდულაძე. მოსჩანს ფეფენა, რომელიც მარინეს და დავითის შეხვედრას უთვალთვალებს)

(კულისებიდან დავითი) საღამო მშვიდობისა, ბატონო მარინე. (მარინე მორცხვად თავს უკრავს)

ვინ გაკადრა ბოშო შენ წყალაზე გამოგზავნა, ისიც ახალ პატარძალს, როგორ გეკადრება! წყალი იმ შენ ქმარს ან შენ იმ ტარტაროზ დედამთილს ვერ მოატანიე? (მარინე ყურადღებას არ აქცევს, მიეშურება, დავითი წინ ეღობება) რას გაწითლდი შე ქალო, კაცის მჭამელი ხომ არა ვარ. ყოველ დღე თქვენსას დავიარები და ამდენ ხანს ვერ შემეჩვიე კიდევ, რატომ იცით გლეხი კაცის ქალებმა ასე გვიან, გვიან შეჩვევა კაცის?.. აი შეხედე ჩვენ აზნაურებისა და თავადების ქალებს: ერთს რომ გაიცნობ მერე მორჩა... (მარინე ყურადღებას არ აქცევს შეშინებული გამოდის სცენაზედ. ისმის დავითის ხმა:) მარინე, იცოდე კვირას მოვალო თქვენსას და კარგი მასპინძელი დამხვდი როგორც შეჰფერის ახალ პატარძალს. (მარინე ჩაფს სდგამს, ცეცხლს უკეთებს, მივა თაროსთან და დაუწყებს დაფქვილს ცრას.)

2

**შ ე მ ო დ ი ს  ნ ი კ ა**

ნიკა: (მხარზედ ხურჯინი ჰკიდია, დაღლილობა ეტყობა) ოხ! რა დავღალე ეს ოხერი.

მარინე: (მივა ნიკასთან და ხურჯინს ჩამოართმევს,) ბევრი ხალხი იყო დღეს პარასკეობაზე?

ნიკა: ხალხი ბევრი იყო, მაგრამ ყველაფრის იაფობა იყო.

მარ. როგორ გაჰყიდე ის სახოხე, ან გაროზში რამდენი მოგცეს, წიწილებში თუ აიღე რამე?

ნიკა: როგორც დამარიგე, ყველაფერი ისე გავყიდე არც მეტი არც ნაკლები ამიღია.

მარ. მადლობა ღმერთს! ჩემი ბაღდადის ყიდვა ხომ არ დაგვიწყნია (ხურჯინში ჩასჩხრეკია).

ნიკა: ბაღდადი ორგან—სამგან ვიკითხე, მაგრამ შენ რომ დამაბარე ისეთი ვერ! ად ვიშოვე,

მარ: ვერც თეთრი იშოვე, ვერც ცის ფერი, არც ფოჩიანი იყო დავ ჯერო?!. შენ თუ არ შეგეძლო ყიდვა, დღეს ჩვენებურები ცოტა იქნებოდა ბაზრობაზე, ვერავის შეხვეწე გეყიდებდა. (მოწყენილი ისევ თაროს უბრუნდება და განაგრძობს მჭადის კეთებას)

3

**ი გ ი ნ ი ვ ე  დ ა  ფ ე ფ ე ნ ა**

ფეფენა: (ანჩხლად) ფულები აღარ გეტევათ ქალბატონო, ფულები ზანდუკში?!

მარ: სახლში მოსატან ფულისთვის, ბატონო სახოხე შალი და ოთხი ახალი ქათამი გავატანე, ბაღდადს მარტო გაროზის ფასი მიყიდდა... ყველას ახურავს თითო ბაღდადი, მე კი უბრალო თავსაფრით დავიარები ეკლესიაში, მარტო მრცხვენია.

ფეფე. (გაჯავრებული,) ათასჯერ მითქვამს

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენ თვის-სხვისი წამხედურობა შენი საქმე არ არის, არა ჩვენ არას გვარგებს, ქალბატონო, არა! (მიუბრუნდება ნიკას) შენ რა ქენი, ვაჟბატონო, ყველაფერი გაყიდე?

ნიკა: (თავს უქნევს.) ვახშამს დაუჩქარეთ მე დაღლილი ვარ, ცოტას წავიძინებ (წვება.)

ფეფე. (მარინეს) პრანჭვა-გრეხვას თავი დაანებეთქვა!.. რა დროს შენი კოპწიობაა... ვის ეპრანჭები მითხარი ერთი ქმარი გყავს რომ მოაწონე შენი თავი... ამ სხვებზედ რომ თვალი მიგირბის.

მარ. ვის სხვას ვეპრანჭები, ბატონო, ვის ვეპრანჭები, მითხარით მაინც, რომ ყოველ დღე მაგას მეუბნებით!

ფეფე. სუ, სუ, გირჩევნია ხმა გაიკმინდო შე უსირცხვილო შენ, ვითომ არ იცის, ანგელოზია?!

მარ. აბა, რა ვქნა ღმერთმანი? ამ ტყუილ უბრალოდ შეწამებამ გული მომიკლა!

ფეფე. (დაცინვით) ტყუილა უბრალოდ?! ჰმ! ტყუილა უბრალოდ! გული მომყხარჩა ჩემო ქალბატონო, გული გესმის.

მარ. (მწარედ, აღელდება მასაც ეტყობა) რა ვქენი ასეთი? მითხარით მაინც, დავაშავე?

ფეფე. ეგ თქვენი ახლი განათლება რა მინდა მე, არა, არა მეთქი, გეიგონე ჩემი, ნუ იცი ყოველ კაცთან შინაურად ლაქლაქი, დაურიდებლად ყბედობა, არ შეგფერის ეგრე ცუნდრუკი და კისკისი. არა, არა, მე ვიცი რაც ბოლო მოჰყვება მაგისთანა თავისუფლებას.

მარ. (ტირილით) მე აღარავის ვცემ ხმას, ყველას ჩამოვეთხოვე... სულ მუნჯად ხომ ვერ გადავიქცევი, რა ვქნა?

ფეფე. ყველას ჩამოეთხოვე, ყველას ჩამოეთხოვე ხმას აღარავის სცემ? აბა ის გაქუცული აზნაური დავითი რას დაწანწალებს ჩემს სახლში? რა უნდა კარუგდელაძეს ჩემს ოჯახში? აა? მანამდეს როდის ყოფილა ის ამ ჩვენს მიდამოზე მოსიარულე?!. ასე ჩამოეთხოვე ყველას?

მარ. ბატონო მე ვერ ვეტყვი ვერაფერს იმ ადამიანს, თქვენ უფროსი ბრძანდებით... თუ გწყინთ მისი აქ მოსვლა, დაითხოვეთ და ის იქნება... მე რა ბრალი უნდა მედებოდეს?!

ფეფე. მე დევითხოვო, თუ შენ უნდა დეითხოვო რომ დაგდევს უკან ვაყაჯავით, კიდევაც გიხარია რომ აზნაურშვილი გეტორლიალება იცოდე რომ ოჯახი გამილანძღო, რომ სირცხვილი მაჭამო ცოცხალი ვერ გადამირჩები, კბილებით დაგლეჯავ, შენს ხორცს ძაღლებს შევაჭმევ... (უფრო ანჩხლად) შენისთანა გომბიოს თავზე ლაფი როგორ დავასხმევიო, ღმერთო მომკალი; შენისთანა გომბიომ რავა გამიხადოს ჩემი ოჯახი ქვეყნის სასაცილოდ (მარინე გაკვირვებით მისჩერებია) რა გამოგიყვლეპია ეს დასამსები თვალები. (შეუტევს) შენ გეუბნები შე სასიკვდილე (მივა ნიკასთან) რაზედ მომითრიე ეს ჩემი სისხლის მსმელი, შე სულელო, შე უტვინო

ნიკა. (შეშინებული წამოვარდება ტახტიდან) რა ქნა მაგ შეჩვენებულმა, ჰა? რა ქნა, რა?

ფეფე. რა ქნა? ჰკითხე, ჰკითხე. თვითონ მოგახსენებს მაგას, ხომ არაფრის რცხვენია?.. შარა გზაში რომ ძროხა დედაკაცი საარშიყოდ გამოდგება იმას როდასი რცხვენია! სულ დეივიწყე შე შეჩვენებულო სირცხვილი? სინდისის აღარა შეგრჩა ცოტაოდენი მაინც მაგ გარყვნილებაში?.. ისიც აღარ იფიქრე, რომ მაგ შარა გზაზე ვინმე დაგინახავდათ? თუ აღარც კი ერიდები ვისმეს? ჰმ. რასაკვირველია ამ ღვთის გლახას წუწკი აზნაურშვილი დავითი სჯობია, რასაკვირველია, რასაკვირველია! მარა მე რას მიპირებ? ჰაჰ, შე გარყვნილო შე უტიფირო?

მარ. (მოთმინებიდან გამოსული) გაჩუმდი!.. გაჩუმდი! კმარა; კმარა... ტყუილია, ცილის წამება, არ შეფერის შენი ხნის ადამიანს... დავით კარუგდელიძესთან მე არავითარი საქმე არა მაქვს მართალია დღეს წყალი რომ მომქონდა გზაში გადამიდგა, ლაპარაკი დამიწყო, მაგრამ მე მისთვის პასუხი არ გამიცია...

ფეფე. ვიცი, ვიცი, ქალბატონო რაც ხმა არ გაგიცია, მესმოდა კვირისთვის რომ დაიბარე შე გარყვნილო, შე არა წმინდა.

მარ არა წმინდა არ იყვე კუდიანიც არ იქნებოდი.

ნიკა. (წამოვარდება ტახტიდან და მარინეს შეუტევს) ვის უბედავ შენ, ვის უბედავ, ჰა! ვის უბედავ?

მარ იქით შე ღვთის გლახა, ახლოს არ მომეკარო.

ფეფე. (მარინეს შეუტევს ჯოხით) გარყვნილო, აა! რასკაპო სხვას აბა რას იტყვი?

მარ. (გაკაპასებული მივარდება ფეფენას ჯოხს წაართმევს, წააქცევს და ორ სამ წიხლს ჩასჭკრავს; გაქცევას აპირებს) უიმე მიშველეთ მომკლავენ.

ნიკა (მარინეს ფეხებში ხვამს ესვრის) სად მიხვალ შე შეჩვენებულო, გაჩერდი თორემ მოგკალი ეს არის.

4

**იგინივე, და ონისიმე და სოფო.**

ონისიმე, (მარინეს მოხვევს ხელს) ბიჭო, რა ღმერთი გიწყრებათ რა ავი ზნე გივლისთ, აღარ გვრცხვენიათ მაინც ქვეყნის. მარინეს კივილი შემოგვესმა, გვეგონა სულ ყველა მკვდარი იყავით. რა ღმერთის გაწყრომაა, ბიჭო თქვენს თავზედ?!.

გაგრძელება შემდეგ ნომერში გრ. საქარიქედელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უვიცობის მსხვერპლი

ერთს თბილსა და საამო გაზაფხულის დილას ბუნება პატარძალსავით მოკაზმული იყო და თავისი ნეტარებით გატაცებული მეჯლისობდა:

კვირა დღე იყო. სოფელ მწვანიანში ქვრივი ფოფოდია პელაგიას კარზე მთელი უბნის ქალებს მოეყარათ თავი და ჟრიამული გაჰქონდათ:

—გაიგეთ, ქალებო, რა უბედურება მოუვიდა წუხელის გაღმა უბანში საცოდავს ბურანაანთ თევდორეს ცოლს, ელენეს,—დაიწყო ერთმა შუახნის მანდილოსანმა, რომელიც აქამდის დაფიქრებული იჯდა.

—რა, ქა, რა მოუვიდა? იკითხეს მოუთმენლად აქეთ-იქიდან.

—ის თქვენ მტერს და ქალობის დამაწყევარს, რაც იმას მოუვიდა, უპასუხა მოლაპარაკემ ფოფოდიამ.

—ქალო, რა მოხდა, არ იტყვი? ჰკითხა ერთმა ახალგაზდა ქალმა და ცნობისმოყვარეობით შეპყრობილი გვერდზე მოუჯდა.

—თევდორეს სახლში,—დაიწყო ფოფოდიამ: არაჩვეულებრივი სიმხიარულე იყო. თევდორეს ცოლი, ელენე, მშობიარე იყო პირველ შვილზე, მოწვეული ჰყავდათ ნათესაობა და მთელი მეზობლები. თევდორეს საუკეთესო ქვევრი მოეხადნა,—თუ ვაჟიშვილი მეყოლება და ჩემი სახლის ჭერი ვაჟის ხმას გაიგონებს, ისეთ ძეობასა და ნათლობას გადავიხდი, რომ დიდხანს ახსოვდეთ ჩემი მასპინძლობაო.

ბურანაშვილის სახლში თითქმის შუადამემდის დროს გატარება იყო. ხან-გამოშვებით მოისმოდა მშვენიერი სიმღერა, ყმაწვილი ქალების ოხუნჯობა და მხიარული კისკისი. ელენეს დედას სიდონიას კი გულზე სვდა-ვარამი შემოსწოლოდა, რაღაცა წინასწარ გრძნობით იყო შეპყრობილი, იგი თავს დასტრიალებდა შვილს.

—ღვთის მშობელო დედაო, შენ გადამირჩინე, ჩემი ერთად ერთი შვილი, ელენე, ევედრებოდა იგი ღმერთს მუხლმოდრეკილი და ჩუმათ ქვითინებდა.

მართლაც ელენე მეტად გაჭირვებულ მდგომარეობაში იყო. საბრალო, თითონაც გრძნობდა ამას. ენანებოდა თავისი სიყმაწვილე, სახლ-კარი, ქმარი, რომლის სიყვარულით ჯერ ვერც კი გამაძღარიყო, ენანებოდა ავადმყოფი უძლური დედა, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ უნდა დარჩენილიყო სრულიად უპატრონოდ და უნუგეშოდ.

როდესაც დაატყვეს, რომ მშობიარეს აღარა ეშველარა, მიმართეს სოფლის ყველა ბებიას. ბევრი აწვალეს ბებიებმა საწყალი ქალი, მაგრამ შველით კი ვერც ერთმა ვერ უშველა. ზოგი გაიძახოდა: ტყუპიაო, ზოგი: მკვდარი ბავშვიაო, ერთი ერთ მიზეზს ასახელებდა, მეორე მეორეს, ქალის მდგომარეობა კი უფრო ძნელდებოდა. მე ვგრძნობდი, თუ რა განსაცდელში იყო მშობიარე და ამიტომაც ვურჩიე დაეთხოვათ სოფლის ბებიები და რაც შეიძლება საჩქაროდ მოეწვიათ მახლობელ დაბიდან ექიმი, ან ნასწავლი ბებია.

ჩემი რჩევა ყველამ საწყენად მიიღო ყველას სახეზე უკმაყოფილება დაეტყო. ერთმა კიდეც გამაგონა: არა, მაგ არა მკითხეს, ნეტა რა სჯის, რა ალაპარაკებს, ვითომ მაგას ჩვენზე მეტი ესმის და გული შესტკივა? ზოგი ადამიანი რო დაბერდება, ჭკუა გამოელევა ერთი ჰკითხე, ქალო, ჩვენ მამა-პაპას თუ ნასწავლი ექიმები და ბებიები არ მოუყვანიათ, ვითომ რა დაუშავდათ: შვილებსაც კარგად აშობინებდნენ და ზრდიდნენ კიდეც. თუ შეეძლო რამე, რატო თავის რძალს არ უშველა, ხომ ნასწავლი ბებიაცა და ექიმიცა ჰყავდა? ასე ამბობდა მაგისი რძალი ნინო, ბევრი შვილები რად მინდა. დროს გატარებას მოვაკლდები, სულ სახლში უნდი ვიჯდე და იმათ გაზრდასა და ლოლიაობას მოვუნდეო. ძალიათი თურმე წამლებით ოთხჯერ-ხუთჯერ მუცელი წაიხდინა, სისხლით დაიცალა, ისე დასუსტდა, ისე დასუსტდა, რომ ბოლოს თითონაც თან გადაჰყვა. როცა სული გაუძვრა საწყალს, სტიროდა და ყველას ეხვეწებოდა: მიშველეთ, სიკვდილისაგან დამიხსენითო... ჩვენ ღვთის განგებას მივენდოთ, უიმისოთ არაფერი არ მოხდება, კაცს ის უნდა გადახდეს რაც შუბლზე უწერიაო.

მეტი ღონე არ იყო, ძალა უნებურად უნდა დავმორჩილებოდი იმ ხალხს აზრს შემდეგ მშობიარე ქალს აღარ მოვცილებივარ. მე ურჩიე ელენეს დედას, ყველანი დაეთხოვა სახლიდან, ერთი ორი ადამიანის გარდა, რადგანაც ხმაურობა მშობიარეს აწუხებდა. ვთხოვე დაეტოვებინა აგრეთვე ერთი შინაური ბებიაც, რომელიც სხვა ბებიებზე გამოცდილი და ცოტაოდნად შეგნებულიც იყო, მაგრამ შენც არ მომიკვდე: სახლიდან ფეხი არავინ მოიცვალა, ყველამ ასე სთქვა,—ჩვენ მაგას რას დაუშლითო,—ნათქვამია: გაჭირვებაში ადამიანი ადამიანის წამალიაო.

შუაღამე გადასული იყო. ძალზე მისუსტებულს და მიხრწნილ ელენეს მწარე ტკივილების გამო აუვარდა საშინელი გულის ლონება, წუთი-წუთ გული უფერდებოდა, ბოლოს ხმა ჩაუწყდა, მიბინარდა.,.

დიდი და პატარა თავს შემოგვეხვია, უიმისოდაც ბნელსა და უჰაერო დარბაზში სულის მობრუნების გზა აღარ იყო. ყველა ეკითხებოდა ბებიას, გოგო ეყოლა თუ ბიჭიო. იქვე კარებში გაჩერებული თევდორეც გულის ფანცქალით ელოდა, ან ახლა ახარებდნენ მის მეუღლის მშვიდობით განთავისუფლებას და ვაჟის შეძენას და ან ახლა. სამახარობლოც უკვე დამზადებული ჰქონდა. მე კი ცოცხალმკვდარი მშობიარე გულზე მყავდა მისვენებული, რადგან იმედ დაკარგული ბებია სასოწარკვეთილებაში იყო ჩავარდნილი და ამბობდა დროს უნდა უცადოო.

მოთმინებიდან გამოსულმა შეუტიე:

რა დაგმართვია დედაკაცო, რა გონება დაგიკარგავს, დროს რას უცდი, უშველე რამე, ხომ ხედავ ქალი ხელიდან გვეცლება მეთქი.

ბებია მსწრაფლ გამოფხიზლდა, დაფაცურდა, საბრალო გრძნობა-მიხდილი ქალი ბევრი აწვალა, ბევრი სტანჯა, მაგრამ ამაოდ:-გვიანღა იყო.. მშობიარე ერთხანს გონს მოვიდა, მიშველეთო,—ამოილუღლუღა, ერთხელ კიდევ გაახილა მომაკვდავი თვალები, მწარეთ გააჟრჟოლა და გამოესალმა წუთისოფელს ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე ელენე!

სიხარულის ნაცვლად თევდორეს სახლში ტირილისა და ვაი-ვაგლახის ხმა ისმოდა, გამწარებული დედა თმასა და ლოყებს იგლეჯდა. ბოლოს უზომო მწუხარებისაგან გულ შემოყრილმა ძვირფასი შვილის უსიცოცხლო გვამზე სული დალია.

ასე დააბოლოვა ლაპარაკი თვალცრემლიანმა ფოფოდიამ. ამ ამბით შეწუხებული ქალები დაიშალნენ.

მარიამ წინამძღვრიშვილისა

## მარცვლები

ვისაც თავის თავისა არ ეშინიან; არც სხვისა შეეშინდება.

*

ვისაც საკუთარი სინდისი არ ჰქენჯნის ვერც სხვის წინაშე შეცოდება შეაწუხებს.

*

ყველაზე დიდი მსაჯული ის არის ვინც ყოვლის უწინარეს თვის თავს განსჯის

*

თუ გინდა საყოველთაო სიყვარული მოიმკო ეცადე საყოველთაოდ სიყვარული სთესო.

*

ხელში რო ტალახიანი ჯოხი გეჭიროს სანამ სუფთას იპოვი არ გადააგდო

*

თუ ადამიანურ ცხოვრებას ეძებ, ნურც ნურავის იბატონებ, ნურც ნურვის ებატონები.

იოსებ არიმათიელი

## მე კვლავ ვეძებ

მე კვლავ ვეძებ საოცნებო,
ზურმუხტოვან ლამაზ მხარეს!
სადაც ყველა შვებას იგრძნობს,
სადაც ყველა გაიხარებს!..
არ ისვენებს სული ჩემი, დაჰქრის,
დაძრწის, ფრინავს ველად.
და იჭვრის უცხო ქვეყნის
სანახავად, სახილველად.
მას მოსწყინდა ამ მსოფლიოს
შური, გესლი, ბოროტება!
და მიილტვის სადაც იგი
მუდამ სცოცხლობს და არ კვდება;
სადაც ბრწყინავს ცის დიდება,
ყველას კოცნის მზის მარმაში.
სადაც ყველას ახალისებს
მზის ცეკვა და მზის თამაში,
ჰო და ვეძებ საოცნებო
ზურმუხტოვან ლამაზ მხარეს!
სადაც სული შვებას იგრძნობს,
სადაც ყველა გაიხარებს!..

დ. ჭანჭათელი

## უნძრახი ხალხი

ყველას აქვს ბუდე, ჰყავს მოკავშირე, მხრის დამჭერი, ქართველ ხელოვანს კი არა,..

ის, ვინც მარად სხვას უყივის შეკავშირებისკენ; საერთო ძალღონით ცხოვრების გაუმჯობესობისაკენ; თვით ეს მოყივარი შეუკავშირებელია...

განსაკუთრებით მწერალია ასე დაწიხლული...

მართალია არის ჩვენში მსახიობთა კავშირი, მწერალთა კავშირი, კიდევ.. მაგრამ ყველა ეს უბრალო ფახიფუხია... მათ არა თუ ფართე საზოგადოება არ იცნობს; არამედ თვითონაც კი არ იცნობენ ერთმანეთს.

მაისის 19 შიო არაგვისპირელის სამწერლო მოღვაწეობის 30 წ. შესრულების ,,იუბილეზე'' ერთი ამბის მოწმე შევიქმენ: საგანგებო სტუმართა შორის სცენაზე ორი ხნიერი სახე შევნიშნე,—კაცი და მანდილოსანი. ორივე წინ ისხდენ, ვითარც უნძრახნი. მცირე ხნის შემდეგ წამოიწია ძველი მოციქულებრივი სახე და ქაღარ-მოსილ მანდილოსანს ხელი გაუწოდა:

—ვასო ბარნოვი გახლავართ!—უთხრა.

—ანასტასია ერისთავ-ხოშტარიასი!—მიუგო მანდილოსანმა და ხელი გაუწოდა.

მერე საუბარს გაერთნენ.

მე ცივი წყალი გადამესხა.

ღმერთო ჩემო, ვასო ბარნოვი 30 წელიწადიარაც მწერლობს; ანასტასია 25 წელიწადი და დღემდე პირად ურთიერთნი არა სცნობიათ. მაშ როგორღა გინდათ, ფართო საზოგადოება იცნობდეს ჩვენს მწერლებს და აფასებდეს კიდეც.

აკი არც დააფასეს... შიო არაგვისპირელმა, 30 წ. იშრომა და... თვით მწერლებიც კი არ დაესწრნენ ამ საღამოს!

საწყალი ქართველი მწერალი, საწყალი ქართველი ხელოვანი! ნეტავ როდემდის იქნება ასე უნძრახად ერთი მეორესთან და საზოგადოებასთან? ნეტავ როდემდის ვიქნებით უფხო და უნიათო ბაქიბუქია კავშირების მოიმედენი?..

ექიმი შტოკმანი

# წვრილი ამბები

**არჩილ მაჭავარიანმა** დასწერა ახალი დრამა-პოემა ;;პრომეთე!! სამს სურათად, რომელშიაც შეტანილია სიყვარულის ელემენტიც (პრომეთეს და რენოსი).

;,**აბესალომ და ეთერის**„—**ლიბრეტოს** ავტორი პეტრე მირიანიშვილი სწერს **ახალ საოპერო ლიბრეტოს**, დუტუ მეგრელისა და არჩილ მაჭავარიანის პოემების (პრომეთეზე) მიხედვით. ოპერაში შეტანილი იქმნება სიყვარულის ელემენტიც (არჩ. მაჭავარიანის შემოქმედებით). ოპერას დასწერს ზ. ფალიაშვილი.

**მომღერალი ვარდენ ლორდქიფანიძე** მომავალ სეზონისათვის ბაქოს სახელმწიფო საოპერო დასში.

**ავქ. აჩესაძ მ** დასწერა ახალი წიგნი ,,სამშობლოს გმირები'', ჯარში და ხალხში საკითხავი.

**თელავის კლუბში** კვირაობით იმართება საოჯახო-საბავშო საღამოები და სამშაბათობით წარმოდგენები, ადგილობრივი სცენის მოყვარეთა მიერ არ. ციხისთოვის თაოსნობით.

**მხატვარ ვალ. სიდ.—ერისთავს** დაუმზადებია ქადრაკის ახალი კოჭები: ქართველები და ლეკები, ქართველი მეფე-დედოფალი და საქართველოს ციხე-ბურჯი. როგორც შევიტყეთ, მხატვარი ერთ ერთ გამოფენაზე გამოჰფენს ამ თავის ახალ ნაწარმოებთ.

**ჩვენი ახალგაზდა მხატვარი** ვ. ს.—ერისთავი ამ ჟამად თელავში მუშაობს საკუთარ სტუდიაში, სხვათა შორის დაუხატავს: თამარის დროშა გაშალეს (ლაშქარი დიდუბის მოედანზე თამარი ამალით, დროშით), კახეთის ამბოხება—ალექსანდრე ბატონიშვილი ხირსის ციხესთან თავის მეომრებით, დიმიტრი თავდადებული (თავმოსაკვეთად განმზადებული ჯალათის წინაშე], თუშები მთაში, პატარა კახი გივთან (კახი პირველად ხმალს უსინჯავს ფხას), ბელადების შებრძოლება, კომპ. ნ. სულხანიშვილი, ქართველი ჯარის სხვა და სხვა ნაწილების ტანისამოსის ესკიზები, ქართ. ზღაპრები და სხ.

**თეატრი და ცხოვრების** საღამო თელავში მკათათვის 1 არჩილ ციხისთოვის თაოსნობით გაიმართა. ხელოვნებასა და ცხოვრებაზე სიტყვა წარმოსთქვა იოსებ იმედაშვილმა, ადგილობრივ ძალთა მიერ წარმოდგენილ იქმნა ს ერთაწმინდელის „ჯაშუში" და ან. ჩეხოვის „დათვი''. მონაწილეობდენ ელ. რუისპირელი, ს. დ.—ერისთავის პატარა ბავშვი (7 წ. მხატვარ ვ. ს.—ერისთავის დაი], თინა გოგნიაშვილი, არ. ციხისთოვი, მოწაფე № 8. აჯოსპირელი, კალესნიკი და სხ. საკრებულო. საზოგადოებით გაჭედილი იყო. მონაწილენი დამსწრეთ მხურვალე ტაშით დააჯილდოვეს; როგორც თელავის საკრებულომ [მამასახლისთა საბჭომ), ისევე თელავის სცენის მოყვარეებმა და საზოგადოებამ, მასთან საღამოს გამმართველმა არ. ციხისთოვმა დიდი თანაგრძნობა და დახმარება აღმოუჩინეს რედაქციას.—რედაქცია გულითად მადლობას უძღვნის ყველა ზემორე პირთ..,

**მოგზაური დასი** შალვა დადიანის თაოსნობით კახეთში მოგზაურობს. დასში ირიცხებიან: ელ. ჩერქეზიშვილი, ელო ანდრონიკაშვილი, ნინონ, გ, ფრონისპირელი, ს. გუგუშვილი, ფანიაშვილი და სხ.

,,**ახალგაზრდა ქართველი**'' თელავის მოწაფეთა ყოველკვირეული სამხატვრო-სალიტერატურო გაზეთი, რომლის 12 ნომერი გამოვიდა, საზაფხულოდ შეჩერებულია. განახლდება შემოდგომიდან. მოწაფეთა წრეს განუზრახავს გამოცემის საქმე მკვიდრ ნიადაგზე დააყენოს.

.,**საბავშო თეატრი**''-ს საზოგადოება შეხდგა და თბილისისი თეატრებში რამდენიმე წარმოდგენა გამართ.ა ამ დღეებში დაბა-სოფლებისკენ მიემგზავრება.

**თელავის სამაზრო ერობის** გამგეობის სხდომაზე თიბათვის 25 მთავრობის რწმუნებულ ინსტრუქტორ ი. კოლელიშვილისა და თელავის ფოსტ-ტელეგრაფის კანტორის გამგეს არ. ციხისთავის თანადასწრებით გამომუშავდა გეგმა ფოსტა-ტელეგრაფის და ტელოფონის ხაზის 1 თელავის მაზრაში, რომლის განხორციელებ-საც უკვე შეუდგა ივ. კოლელიშვილი. საჭიროა ყოველ მხრივი დახმარება როგორც ადგილობრივ-სოფლის მცხოვრებელთ ის მოხელეთგან რათ ეს ფრიად საჭირო და სასარგებლო საქმე დროით დაგვირგვინდეს. ტელეგრაფი და ტელეფონი უნდგაია მართოს: ახალ სოფელში, ყვარელში, (ტელოგრაფი არის) შილდაში, ენისელში, ნაფარეულში, ფშაველში ალვანში, წინანდალში ვაჩნაძიანში, ახმეტაში, ქისტაურში, იყალიოში, ტელეგრაფი საბუე, რუისპირი, ოჟიო, აკურა ურიათუბანი.

**ტრ. რამიშვილმა** დაასრულა ახალი კომედია ,,სტუმარ-მასპინძლობა''. დაწერილია ცოცხლად, აღებულია თანამედროვე ცხოვრებიდან, დამახასიათებელ სცენებით სავსე.

**პავლე აკობია** კვირას ივლ. 13 ქართულ კლუბში ლექცსას წაიკითხავს.

**გარდაიცვალა** ჩვენი თანამშრომელი მ. ლომიძე.

**შეცდომის გასწორება**. გასულ ნომერში 13 გვ. დ. ერისთავისა მოწერილი აქვს 1872—1891 უნდა იყოს 1847—1890.

## შემოწირულება

,,**თეატრი და ცხოვრების**'' ფონდის გასაძლიერებლად მივიღეთ:

| | |
|---|---|
| 1 მღ. ერ. ფხალაძისგან | 15 მან. |
| 2 კოლა ქურდოვანიძისგან | 25 მან. |
| 3 თელავის საკრებულოდან | 137ნ მან. |
| 4 თბილისის მერვე კომისარის მილიციონერთა შორის შეკრებილის ვ. ბოლქვაძისა და შ. გომართელისაგან (შემომწ. სიას შემდეგ დავბ.) | 1065 მ. |

შემომწირველთ გულითად მადლობას ვუძღვნით
**რედ.**


# საცეკვაო სკოლა
## ალექსიძისა



გასწავლით ყოველგვარ ეროვნულ ცეკვას: ქართულს, ლეკურს, ნაურულს, ქისტურს, დაღისტნურ ლეკურს (ლოცვა შამილისა ხანჯლებით), უზუნდარას, რანგის, თარაქამას და სხვა.

გაკვეთილები: ორშაბათს და ხუთშაბათს.

ცნობილი მოცეკვავე ალექსიძე 3-6 საათამდე კვირთ 11—2 საათამდე. მისამართი: მიხეილის პროს. №136, ევროპული საცეკვაო სკოლა ინოჩენცისა.


რედაქტორ-გამომცემელი **იოსებ იმედაშვილი**